

International bilingual journal in  
Humanities & social Sciences

# Millennium

## მილენიუმი

Academy for Digital  
Humanities - Georgia

Vol.2  
2024

The Peer-reviewed Bilingual Scientific Online Journal of the Academy for Digital Humanities

in Humanities and Social Science

დიგიტალური ჰუმანიტარის აკადემია - საქართველოს

ორენოვანი საერთაშორისო ახალგაზრდული სამეცნიერო რეფერირებადი ონლაინჟურნალი

# მილენიუმი

# Millennium

**Volume 2**

Tbilisi / თბილისი

2024

The peer-reviewed bilingual scientific online journal **Millennium** was initiated by the founders of the Academy for Digital Humanities and is designed for young researchers working in Humanities and Social Sciences – master students, doctoral students and postdocs. Millennium aims to promote the academic development of a new generation of scientists by creating an academic platform for young researchers working in the Humanities and Social Sciences to publish scientific papers.

დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგუური სამეცნიერო ჟურნალი „მილენიუმი“ დაარსდა დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიის დამფუძნებელთა მიერ და განკუთვნილია ჰუმანიტარიისა და სოციალურ მეცნიერებებში მოღვაწე ახალგაზრდა მკვლევართათვის - მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტდოქტორანტებისათვის. ჟურნალი „მილენიუმი“ მიზნად ისახავს მეცნიერთა ახალი თაობის აკადემიური განვითარების ხელშეწყობას - ჰუმანიტარულ დარგებსა და სოციალურ მეცნიერებებში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის აკადემიური პლატფორმის შექმნას სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

#### **Scientific Council:**

Chairman of the Scientific Council: Manana Tandaschwili (Germany)

Members of the Scientific Council: Jost Gippert (Germany), Gerd Carling (Germany), Iryna Gurevych (Germany), Sergey Kim (Switzerland), Emzar Jgerenaia (Georgia), Vakhtang Litcheli (Georgia), Nana Loladze (Georgia), Rati Skhirtladze (Georgia)

Secretary of the Scientific Council: Sarah Dopierala (USA)

#### **სამეცნიერო საბჭო:**

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: მანანა თანდაშვილი (გერმანია)

სამეცნიერო საბჭოს წევრები: იოსტ გიპერტი (გერმანია), გერდ კარლინგი (გერმანია), ირინა გურევიჩი (გერმანია), სერჯეი კიმი (შვეიცარია), ემზარ ჯგერენაია (საქართველო), ვახტანგ ლიჩელი (საქართველო), ნანა ლოლაძე (საქართველო), რატი სხირტლაძე (საქართველო).

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: სარა დოპიერალა (აშშ)

#### **Editorial Board:**

Mariam Kamarauli (Editor-in-Chief), Eka Kvirkvelia (Editor), Mzia Khakhutaishvili, Maia Kuktchishvili, Ketevan Datukishvili, Mariam Rukhadze, Giorgi Jgharkava (Executive Secretary), Mariam Gobianidze, Zviad Zalikian.

#### **სარედაქციო საბჭო:**

სარედაქციო საბჭო: მარიამ ყამარაული (მთავარი რედაქტორი), ეკა კვირკველია (რედაქტორი), მზია ხახუტაიშვილი, მაია ქუჭიშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, მარიამ რუხაძე, გიორგი ჯღარკავა (აღმასრულებელი მდივანი), მარიამ გობიანიძე, ზვიად ზალიკიანი.



დიგიტალური  
ჰუმანიტარიის  
აკადემია

© Academy for Digital Humanities - Georgia

© დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემია - საქართველო

ISSN 2960-9887 (Online)

## Content / სარჩევი:

### I. Digital Kartvelology / დიგიტალური ქართველოლოგია

**Giorgi Jgharkava**, *Digital Processing of Proverbs in Kartvelian Languages – Theoretical and Technological Framework* 5

გიორგი ჯღარკავა, ქართველურ ენათა ანდაზების კვლევა ციფრულ ეპოქაში – თეორიული და ტექნოლოგიური ჩარჩო

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7991>

**Mariam Kamarauli**, *Digital Methods of Comparative Manuscript Research: The Martyrdom of St. Febronia* 44

მარიამ ყამარაული, ხელნაწერთა შედარებითი კვლევის დიგიტალური მეთოდები: წმ. ფებრონიას წამება

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7992>

**David Maisuradze**, *Georgian Paleographic Fonts and their Role in Scientific Studies* 66

დავით მაისურაძე, ქართული კალიგრაფიული შრიფტები და მათი მნიშვნელობა სამეცნიერო კვლევებისათვის

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7993>

### II. Corpus Linguistics / კორპუსლინგვისტიკა

**Mariam Gobianidze**, *The Issue of Equivalence of Aphorisms in the English Translations of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" (based on one aphorism)* 84

მარიამ გობიანიძე, აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში (ერთი აფორიზმის მაგალითზე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

**Julian Hasche**, *Corpus-linguistic Analysis of Verba Sentiendi in „Vepxistqaosani“ in Georgian and Basque* 102

იულიან ჰაშე, გრძნობა-აღქმის ზმნების კორპუსლინგვისტური ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ დედანსა და პოემის ბასკურ თარგმანში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7997>

**Mariam Rukhadze**, *Semantical Analyses of Deverbal Functional Elements from a Corpus-linguistic Point of View* 119

მარიამ რუხაძე, ნაზმნარი ფუნქციური ელემენტების სემანტიკური ანალიზი კორპუსლინგვისტურ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7999>

### III. Language Technologies / ენის ტექნოლოგიები

**Marc-Daniel Rahn**, *Can Counting Words make Sense? A Simple Application of Visual Tools for Basic Machine Learning in Linguistics* 138

მარკ-დანიელ რანი, აქვს თუ არა სიტყვების დათვლას აზრი? ვიზუალური ხელსაწყოების მარტივი გამოყენება საბაზისო მანქანური სწავლებისათვის ლინგვისტიკაში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8000>

### IV. Political Linguistics / პოლიტიკური ლინგვისტიკა

**Tatia Tstetskhladze, Anastasia Kamarauli**, *Contemporary Georgian Political Speech from Gender and Party Perspectives* 160

თათია ცეცხლაძე, ანასტასია ყამარაული, თანამედროვე ქართული პოლიტიკური ზეპირმეტყველება გენდერულ და პარტიულ ჭრილში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8002>

### V. Comparative literature studies / შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

**Nino Sabadze**, *The Problem of the Face of the Dragon in Caucasian and European Mythological-epic texts* 194

ნინო საბაძე, გველეშაპის სახის პრობლემა კავკასიურ და ევროპულ მითოეპიკურ ტექსტებში

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8003>

### VI. History / ისტორია

**Ioseb Schengelia**, *On the History of a Castle in Samegrelo (Chakvinji Castle)* 215

იოსებ შენგელია, ერთი ციხესიმაგრის ისტორიისათვის სამეგრელოში (ჭაკვინჯის ციხე)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.8004>

# The Issue of Equivalence of Aphorisms in the English Translations of Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin"<sup>1</sup> (Based on One Aphorism)

Mariam Gobianidze

(Ivane Javakhishvili Tbilisi State University)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

[mariam.gobianidze@tsu.ge](mailto:mariam.gobianidze@tsu.ge) || ORCID: [0009-0009-1608-0969](https://orcid.org/0009-0009-1608-0969)

**Abstract:** Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin* is an exceptional work within medieval Georgian literature, renowned for its profound cultural and literary significance. The epic has been preserved in over 160 manuscripts and translated into 58 languages, including multiple English versions. The richness of Rustaveli's language and the depth of his aphorisms present unique challenges for translators. This article investigates the complexities and nuances involved in translating aphorisms from *The Knight in the Panther's Skin* into English, focusing on the works of Marjory Scott Wardrop (1912), Venera Urushadze (1968), and Lyn Coffin (2015). By analysing the aphorism „ოდეს ტურფა გაიეფდეს აღარა ღირს არცა ჩირად“ (“When the lovely is cheapened, it is no longer worth even dried fruit”), the article highlights the diverse approaches and strategies employed by these translators.

**Keywords:** Translation studies, Digital Rustvelology, Georgian Language

## Introduction

Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin* is an exceptional work of medieval Georgian literature, renowned for its profound cultural and literary significance. This epic poem has been preserved in over 160 manuscripts and translated into 58 languages, including multiple English versions. The richness of Rustaveli's language and the depth of his aphorisms present unique challenges for translators. This article investigates the complexities and nuances involved in translating aphorisms from *The Knight in the Panther's Skin* into English, focusing on the works of Marjory Scott Wardrop (1912), Venera Urushadze (1968), and Lyn Coffin (2015). By analyzing the aphorism „ოდეს ტურფა გაიეფდეს აღარა ღირს არცა ჩირად“ / *odes t'urpa gaiepdes, aryara yirs artsa t'irad* (“When the lovely is cheapened, it is no longer worth even dried fruit”), the article highlights the diverse approaches and strategies employed by these translators.

Aphorisms are concise, pithy statements that convey significant moral or philosophical truths. In Rustaveli's epic, aphorisms are not only integral to the narrative but also encapsulate the poet's wisdom and the cultural ethos of the time. Translating these aphorisms into English poses

---

<sup>1</sup> This research [PHDF-22-851] has been supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG)."

the challenge of maintaining their brevity, poetic nature, and deep meaning, while also making them accessible and resonant for contemporary readers.

## 1. Discussion

Marjory Scott Wardrop, one of the earliest translators of *The Knight in the Panther's Skin*, aimed to stay as close to the original text as possible. Her translation of the aphorism "When the lovely is cheapened, it is no longer worth even dried fruit" is direct and maintains the structure and key elements of the Georgian text. Wardrop's approach is characterized by a high degree of fidelity to the original, but this often comes at the expense of capturing the idiomatic nuances that give the aphorism its cultural flavor.

In contrast, Venera Urushadze's translation takes a more interpretive approach. Urushadze aims to convey the underlying meaning and cultural context of Rustaveli's aphorisms rather than adhering strictly to the literal wording. Her rendition of the aphorism focuses on the idea that when something beautiful becomes common or devalued, it loses its worth. By doing so, Urushadze provides a translation that resonates more deeply with modern readers while preserving the aphorism's core message.

Lyn Coffin's translation, based on a word-by-word translation by Dodona Kiziria, represents a balanced approach between fidelity to the original text and the use of English idiomatic expressions. Coffin translates the aphorism as "When the lovely is cheapened, it is not worth a fig anywhere" using an English idiom (worth a fig) that captures the essence of the original while making it more relatable for an English-speaking audience. Coffin's translation reflects an understanding of both the linguistic and cultural dimensions of the aphorism, striving to maintain Rustaveli's poetic style and thematic depth.

## 2. Analysis

The analysis of these translations highlights the inherent challenges in translating aphorisms, which often carry rich cultural and linguistic significance. This study employs a contemporary methodological framework, utilizing a multilingual parallel corpus of *The Knight in the Panther's Skin* and integrating concepts from functionalist and descriptive translation studies. By evaluating the translation strategies and linguistic nuances of each translator, the article sheds light on the delicate balance between linguistic fidelity and cultural resonance.

The article delves into the specific aphorism in question, analyzing how each translation reflects the translators' different priorities and strategies. In Rustaveli's original text, the aphorism is part of a dialogue involving a rose, symbolizing beauty and value. Wardrop's direct translation preserves the original structure but may lack the idiomatic richness of the Georgian text. Urushadze's more artistic translation captures the functional meaning and cultural context, offering

a version that resonates with modern readers. Coffin's use of the idiomatic expression "worth a fig" in English captures both the original meaning and the idiomatic essence, providing a balance between fidelity and relatability.

### 3. Results

In conclusion, the article provides a comprehensive examination of the translation of aphorisms from *The Knight in the Panther's Skin*, offering insights into the nuances of translating culturally and linguistically rich texts. It highlights the delicate balance translators must maintain between preserving the original meaning and adapting the text to resonate with a new audience. The analysis of Wardrop, Urushadze, and Coffin's translations demonstrates the diverse approaches and challenges in rendering Rustaveli's aphorisms into English, emphasizing the importance of both linguistic and cultural fidelity in translation.

By examining these translations through a contemporary methodological framework, the article contributes to the broader discourse on translation studies, particularly in the context of medieval Georgian literature. It underscores the significance of understanding the cultural and idiomatic intricacies inherent in the source text and the translator's role in bridging these nuances for a modern audience. Through this exploration, the article not only sheds light on the specific challenges of translating *The Knight in the Panther's Skin* but also offers valuable insights into the broader field of translation studies, highlighting the ongoing dialogue between linguistic fidelity and cultural adaptation.

Ultimately, the article emphasizes that translation is not a mere linguistic exercise but a cultural one. Translators of *The Knight in the Panther's Skin* must navigate the complex interplay of language, culture, and meaning to convey Rustaveli's timeless wisdom to a global audience. The work of Wardrop, Urushadze, and Coffin illustrates the diverse strategies that can be employed to achieve this goal, each bringing unique strengths and perspectives to the translation process. By recognizing and appreciating these different approaches, we gain a deeper understanding of both the art of translation and the enduring significance of Rustaveli's epic.



აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი შოთა რუსთაველის  
„ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ თარგმანებში  
(ერთი აფორიზმის მაგალითზე)<sup>2</sup>

მარიამ გობიანიძე

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

DOI: <https://doi.org/10.62235/mln.2.2024.7994>

[mariam.gobianidze@tsu.ge](mailto:mariam.gobianidze@tsu.ge) || ORCID: [0009-0009-1608-0969](https://orcid.org/0009-0009-1608-0969)

### შესავალი

შოთა რუსთაველი XII საუკუნის ქართველი პოეტია, რომელსაც ეკუთვნის შუა საუკუნეების მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიტერატურული ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“. პოემა ქართული სულიერი კულტურის უმაღლესი გამოხატულებაა. პოემის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულია 160-ზე მეტი ხელნაწერის სახით. მსოფლიო ლიტერატურაში ქართველი ერის იდენტობა სწორედ რომ „ვეფხისტყაოსანთან“ ასოცირდება: ისევე, „როგორც ჰომეროსია ელადა, დანტე – იტალია, შექსპირი – ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი – ესპანეთი, ასევე რუსთაველი საქართველოა“ (Бальмонт 1933).

პოემის აქტუალობა და მნიშვნელობა დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და უცხოელი მკითხველის ინტერესის სფერო გახდა. პოემა 58 ენაზე ითარგმნა და ზოგიერთ ენაზე რამდენიმეჯერაც. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხის შესწავლაა პოემის ინგლისურ თარგმანებში.

„ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე სხვადასხვა დროს ითარგმნა ხუთი მთარგმნელის მიერ. პოემა პირველად ინგლისელმა ქართველოლოგმა და მთარგმნელმა მარჯორი სკოტ უორდროპმა თარგმნა. უორდროპმა, რომელიც წლების განმავლობაში სწავლობდა ქართულ ენას და კულტურას, პოემის თარგმნას დაახლოებით ოცი წელი მოანდომა. თარგმანი გამოვიდა 1912 წელს ლონდონში<sup>3</sup> მარ-

---

<sup>2</sup> კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (SRNSFG) მხარდაჭერით (გრანტის ნომერი PHDF-22-851).

<sup>3</sup> Rust'haveli, Shot'ha. The Man in the Panther's Skin: A romantic epic / A close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop. \_ London: The Royal Asiatic Society, 1912. \_ XVIII, 274.

ჯორი სკოტ უორდროპის გარდაცვალების შემდეგ. პოემა პროზაულადაა თარგმნილი.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე ინგლისური თარგმანი ეკუთვნის ვენერა ურუშაძეს, რომელიც ჯერჯერობით პოემის ერთადერთი ქართველი მთარგმნელია. მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ პირველად გამოიცა 1968 წელს თბილისში.<sup>4</sup> თარგმანი არის პოეტური.

„ვეფხისტყაოსნის“ მესამე თარგმანი შესრულებულია ინგლისელი ფილოლოგის, მწერლის, მთარგმნელისა და ქართველოლოგის - ქეთრინ ვივიენის მიერ. პოემა 1977 წელს დაიბეჭდა ლონდონში.<sup>5</sup> პოემის ძირითადი ტექსტი პროზაულადაა თარგმნილი, პროლოგი და ეპილოგი კი – პოეტურად.

პოემის მეოთხე თარგმანი შესრულებულია ინგლისელი ისტორიკოსის, მთარგმნელისა და ქართველოლოგის – რობერტ სტივენსონის მიერ, რომელმაც 1977 წელს გამოსცა თარგმანი ნიუ-იორკში.<sup>6</sup> პოემა თარგმნილია რიტმული პროზის სახით.

„ვეფხისტყაოსნის“ უახლესი ინგლისურენოვანი თარგმანი ეკუთვნის ამერიკელ მწერალსა და მთარგმნელს ლინ კოფინს. თარგმანი გამოვიდა 2015 წელს თბილისში.<sup>7</sup> პოემა პოეტური სახითაა თარგმნილი. პოემის ინგლისურენოვანი პწკარედი შესრულებულია დოდონა კიზირიას მიერ. წინამდებარე კვლევა დაეყრდნობა მარჯორი უორდროპის, ვენერა ურუშაძისა და ლინ კოფინის ინგლისურენოვან თარგმანებს. ჩვენი მიზანია, რომ შევაფასოთ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმის პოეტური თარგმანის ხარისხი, ამიტომ საკვლევად ვიღებთ პოეტურ თარგმანებსა და დოდონა კიზირიას პწკარედს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ მარჯორი უორდროპის თარგმანი პირველია და, შესაძლოა, სხვა თარგმანების წყარო ყოფილიყო, გამოვიყენებთ უორდროპის პროზაულ თარგმანსაც. აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ

<sup>4</sup> Rustaveli, Shota. *The Knight in the Panther's Skin* / Transl. from the Georgian by Venera Urushadze / Ill. by Zurab Kapanadze / This translation is dedicated to the memory of Marjory Scott Wardrop. \_ Tbilisi: Sabchota Sakartvelo, 1968.

<sup>5</sup> Rustaveli, Shota. *The Knight in Panther Skin* / A free transl. in prose by Katharine Vivian / Forward by Professor David M. Lang / Prefatory Note by Academician A. G. Baramidze / Ill. by Mamuka Tavakarashvili / To the Georgian People and to Tess and Vivien. \_ London: The Folio Society, 1977.

<sup>6</sup> Rustaveli, Shota. *The Lord of the Panther-skin: A Georgian romance of chivalry* / Transl. by R. H. Stevenson; A. G. Teacher and Friend in memory \_ Albany: State Univ. of New York Press, 1977.

<sup>7</sup> Rustaveli, Shota. *The Knight in the Panther Skin* / new transl. by Lyn Coffin; ill Michaly Zichy; ed. Nodar Natadze. – 1st ed. – Tbilisi: Poezia Press, 2015.

პოემის ქართული ტექსტი ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის აკადემიურ გამოცემას,<sup>8</sup> დოდონა კიზირიას პწკარედი კი გამოყენებულია ხელნაწერის უფლებით.

### 1. აფორიზმის განსაზღვრებისათვის

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, „აფორიზმი [ბერძ. *aphorismos* განსაზღვრება] სხარტი გამონათქვამია, რომელშიც განზოგადებულია ხალხის ცხოვრებისეული გამოცდილება, საუკუნოვანი სიბრძნე“<sup>9</sup> სხვა განმარტების მიხედვით, აფორიზმი ბერძნული სიტყვაა და მოკლედ, სხარტად და სტილისტურად დასრულებული ფორმით გამოხატულ აზრს ნიშნავს.<sup>10</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში აფორიზმისა და აფორისტული მეტყველების შესახებ არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მოიპოვება და მათში აფორიზმის განმარტებები არაერთგვაროვანია. ფარნაოზ ერთელიშვილი, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა აფორიზმების საკითხს, მიუთითებს, რომ „აფორიზმი არის ზოგადი ხასიათის აღმზრდელობითი გამონათქვამი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოქცეული (და რომელშიც დამრიგებლობითი შინაარსი უშუალოდ გვეძლევა)“ (ერთელიშვილი 1958:165); Merriam-Webster-ის ლექსიკონის მიხედვით,<sup>11</sup> აფორიზმი არის 1. აღიარებული ჭეშმარიტების ლაკონურად ფორმულირება; 2. სხარტად ნათქვამი სიბრძნე; 3. ექსპრესიული სტილი: აფორისტული ენა. ცნობილი ინგლისელი მწერალი და ლექსიკოგრაფი სემუელ ჯონსონი (1709-1794) აფორიზმის ამგვარ განმარტებას გვთავაზობს: „აფორიზმის ხელოვნება გულისხმობს არა იმდენად რაიმე ორიგინალური ან ღრმა იდეის გამოხატვას, რამდენადაც სულ ორიოდ სიტყვით სასარგებლო და გასაგები აზრის გადმოცემას“ (არილი 1994:10). რუმინეთის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი კოსმინ კონსტანტინ ბაიასი სტატიაში „აფორიზმი: ფუნქცია და დისკურსული

<sup>8</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედ.: აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, „სახელგამი“, თბილისი, 1957.

<sup>9</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <http://ena.ge/explanatory-online/>. (ბოლო ნახვა 20.01.2024).

<sup>10</sup> იხილეთ: <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=7&t=74> (ბოლო ნახვა 20.01.2024).

<sup>11</sup> თარგმანი ჩვენია: „Aphorism is 1. a concise statement of a principle; 2. a terse formulation of a truth or sentiment: ADAGE; 3. an ingeniously terse style of expression: aphoristic language.“

სტრატეგია<sup>12</sup> (“The Aphorism: Function and Discursive Strategy”) საუბრობს აფორიზმების მნიშვნელობაზე. მისი თქმით: „ზოგადად, აფორიზმი არის ავტორის მიერ ორიგინალურად ნაფიქრალი, ზეპირად ნათქვამი ან წერილობით გადმოცემული მოკლე და ორიგინალური აზრი“<sup>13</sup> (Băiaș 2014:2268). წიგნის – „ვებსტერის ახალი სამყარო – საუკეთესო წიგნი აფორიზმებზე“<sup>14</sup> (“Webster’s New World - Best Book of Aphorism”) – შესავალში აფორიზმი ამგვარადაა განმარტებული: „(მორალური, ზნეობრივი) ღირებულების ლაკონიური ფორმულირება, მოკლე წინადადება, რომელიც გადმოსცემს ბრძნულ ან სხარტ დაკვირვებას ან ზოგად ჭეშმარიტებას“<sup>15</sup>. ჯეიმს გერი მონოგრაფიაში „სამყარო ფრაზებით: აფორიზმების მოკლე ისტორია“<sup>16</sup> (“The World in a Phrase: A Brief History of The Aphorism”) გამოყოფს ხუთ მთავარ პრინციპს, რის მიხედვითაც ფრაზა კვალიფიცირდება აფორიზმად. ფრაზა უნდა იყოს: 1. მოკლედ ფორმულირებული: ლაკონიურობა აუცილებელია; 2. პერსონალური: პირადულობა გადამწყვეტია; 3. განმარტებითი: ზუსტი ახსნა განმსაზღვრელია; 4. ფილოსოფიური: ფილოსოფიური მნიშვნელობა ძირითადია; 5. ორიგინალური: მოულოდნელობისა და გაოცების ელემენტები აუცილებელია (Geary 2005).

„ვეფხისტყაოსანი“ აფორიზმების სიმრავლით გამორჩეული პოეტური ნაწარმოებია. ზ. გამსახურდია მიუთითებს: „რუსთაველი თავის ყოველ სტრიქონში აფორისტია და არა მხოლოდ პოემის იმ გამოთქმებში, რომელნიც „აფორიზმების“ სახელით არიან ცნობილნი“ (გამსახურდია 1972:43). შესაბამისად, თარგმანების შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფორისტული სტილის გადმომცემი ფორმულების ეკვივალენტობის საკითხს.

<sup>12</sup> იხილეთ: <https://www.sciencedirect.com/science> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>13</sup> თარგმანი ჩვენია: “In common language, the aphorism is an original thought spoken or written by an author in a concise and memorable form”.

<sup>14</sup> იხილეთ: <https://www.sciencedirect.com/science/article> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>15</sup> თარგმანი ჩვენია: “a concise statement of a principle, a short pointed sentence expressing a wise or a clever observation or a general truth”.

<sup>16</sup> თარგმანი ჩვენია: “The World in a Phrase: A Brief History of The Aphorism” 1. It Must Be Brief - conciseness is a requirement; 2. It Must Be Personal - a personal touch is crucial; 3. It Must Be Definitive - it should present a definitive statement; 4. It Must Be Philosophical - it should carry philosophical significance; and 5. It Must Have A Twist - an element of surprise or twist is necessary.

წინამდებარე ნაშრომში რუსთველის ერთი აფორიზმის განხილვის საფუძველზე ვეცდებით შევაფასოთ სხვადასხვა მთარგმნელთა მიერ ინგლისურ ენაში აფორიზმის გადატანის იდეური სიზუსტე და ფუნქციური ადეკვატურობა.

## 2. აფორიზმის „ოდეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“ ანალიზი ინგლისურ თარგმანებში

„ვეფხისტყაოსნის“ 36-ე თავი „პოვნა ავთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა“ მოგვითხრობს ავთანდილის ტარიელთან დაბრუნების ეპიზოდს. მას შემდეგ, რაც ავთანდილი გულწასულ და გონებაზე არმყოფ ტარიელს იპოვის, ყველანაირი მეთოდით შეეცდება, რომ ის გონზე მოიყვანოს და რეალური სამყაროს აღქმა დაუბრუნოს. ავთანდილი აღნიშნავს, რომ ტარიელის მდგომარეობაში სხვაც ყოფილა, ეს ტანჯვა სხვასაც უნახავს და სიყვარული დიდი განსაცდელის გარეშე არ არსებობს (36.877. „არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“). ავთანდილი ტარიელის დარწმუნებას ხატოვანი გამონათქვამით, ანუ მხატვრული ხერხის გამოყენებით ცდილობს: „ოდეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“. დასახელებული სტრიქონი აფორიზმია და მისი აზრია: თუ ტურფა (ე.ი. როდესაც მაღალი ღირებულების / ესთეტიკურობის მატარებელი პირი/საგანი. მ.გ.) ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება, ის ღირებულებას კარგავს.

განვიხილოთ კონტექსტი, რომელშიც ზემოთ ხსენებული აფორიზმი არის გამოყენებული:

36.878.<sup>17</sup> ვარდსა ჰკითხეს: „ეგ ზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?  
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?“  
მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად:  
ოდეს ტურფა გაიფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“.

დასახელებული სტროფი სტრუქტურულად ორ ნაწილად შეიძლება დავეყოთ: შეკითხვა და პასუხი. პირველი ნაწილი ვარდის მისამართით დასმულ სამ შეკითხვას მოიცავს:

1. ეგ ზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
2. მიკვირს, რად ხარ ეკლიანი?
3. პოვნა შენი რად არს ჭირად?

<sup>17</sup> დამოწმებისას ვასახელებთ თავისა და სტროფის ნომერს.

მეორე ნაწილში ვარდის პასუხია გადმოცემული, რომელშიც ზემოთ დასმულ შეკითხვებზე ასეთ შეფასებას იძლევა ვარდი: ტკბილის მისაღებად სიმწარის განცდაა საჭირო და უკეთესია ის, რაც ძვირად/ძნელად მოსაპოვებელია, ანუ ძნელად ხელმისაწვდომია:

„მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად: ოდეს ტურფა გაიფუდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“.

სტროფის ბოლო ნაწილი – „**ოდეს ტურფა გაიფუდეს, არღარა ღირს არცა ჩირად**“ – აფორიზმია. მასში გადმოცემულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. რუსთაველი ჯერ სვამს საკითხს, აყენებს დებულებას, რომ თუ ტურფა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება, მაშინ შედეგი ის იქნება, რომ ის გაუფასურდება. ამ ინფორმაციულ სტრუქტურას რუსთაველთან არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჯერ იხსნება თემა, ისმება საკითხი და ამის შემდეგ გვთავაზობს ავტორი ამ პროცესის შედეგს.

დასახელებული აფორიზმი განსხვავებულადაა გადატანილი პოემის ინგლისურენოვან თარგმანებში:

36.878. ოდეს ტურფა გაიფუდეს, არღარა ღირს არცა ჩირად“.

36.858. (M.W<sup>18</sup>.) when the lovely is cheapened it is no longer worth even dried fruit.'

36.868. (V.U.) Thus speaks the rose that is only a soulless, inanimate flower.

36.887. (L.C.) When the lovely is cheapened, it is not worth a fig anywhere.'

858 36/13 (D.K.) when the lovely is cheapened it is no longer worth even dried fruit.\* (The last phrase could be also understood as whatever is rare is better).

აფორიზმში გამოყენებულ კონცეპტებს ცალ-ცალკე განვიხილავთ სამივე მთარგმნელთან. მარჯორი უორდროპის თარგმანში „ტურფა“ გადატანილია ლექსიკური ერთეულით **lovely**. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის მიხედვით, **lovely** – adjective [ˈlʌvli] 1. ლამაზი, მშვენიერი, მიმზიდველი; lovely woman ლამაზი / მშვენიერი ქალი; lovely picture [scene] მშვენიერი სურათი [სცენა]; 2. საუბ. შესანიშნავი, ჩინებული, საუცხოო; lovely joke ჩინებული ხუმრობა; lovely weather საუცხოო ამინდი; lovely note შესანიშნავი წერილი / ბარათი; a good man and a lovely preacher კარგი

<sup>18</sup> ინიციალების განმარტება: **M.W.** - მარჯორი უორდროპი, **V.U.** - ვენერა ურუმადე, **L.C.** - ლინ კოვინი, **D.K.** - დოდონა კიზირია.

ადამიანი და ჩინებული მქადაგებელი; to have a lovely time დროის საუცხოოდ გატარება; 3. არსებ. მნიშვნ. საუბ. ლამაზი ქალი, ლამაზმანი.<sup>19</sup> დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში ტურფა განმარტებულია შემდეგნაირად: *ტურფა* p.noun adj. beautiful (woman), beguiling 1. Beloved<sup>20</sup>. ეკვივალენტობის თვალსაზრისით, ქართულ ლექსებას „ტურფა“ თარგმანში დენოტაციური ეკვივალენტი **lovely** შეესატყვისება. აფორიზმის პირველი ნაწილი, რომელშიც მიზეზია დასახელებული, მარჯორი უორდროპთან ზუსტადაა გადატანილი, შენარჩუნებულია რუსთველისეული კონცეპტები („ტურფა“, „გაიაფება“) და არ არის დარღვეული ინფორმაციული სტრუქტურა, თუმცა აფორიზმის მეორე ნაწილში, რომელშიც შედგება გადმოცემული, პირდაპირი თარგმანი გვაქვს. უორდროპის ინგლისურ თარგმანში ჩირის ეკვივალენტად გამოყენებულია **dried fruit** (ქართ. *გამხმარი ხილი*), რაც ქართული იდიომატური გამოთქმის სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს და ფუნქციურად არ ეთანადება წყარო-ტექსტში მოცემულ სათანადო მეწყვილეს.

ვენერა ურუშაძისეულ ინგლისურ თარგმანში აღნიშნული აფორიზმი სხვაგვარად არის გადატანილი: თარგმანში აფორიზმის ფუნქციური მნიშვნელობა ბოლომდეა შენარჩუნებული – Thus speaks the rose that is only a soulless, inanimate flower. აღსანიშნავია, რომ „ტურფას“ ეკვივალენტად „ვარდის“ გამოყენება მთარგმნელის სტრატეგიაზე მიუთითებს. ვარდს ჰკითხეს, ასეთი ტურფა რატომ ხარ, რატომ არის შენი მოპოვება ასე ძნელიო, რაზედაც ვარდი პასუხობს: ვარდი ადვილად ხელმისაწვდომი რომ გახდეს ყველასთვის, მაშინ იგი თავის ღირებულებას დაკარგავსო. აქ მთარგმნელი უარს ამბობს ქართული იდიომის გადატანაზე (ჩირად არ ღირს), აგრძელებს აღნიშნულ სტროფში მოცემულ ერთიან ხაზს და ვარდის პასუხს, დამყარებულს თვითრეფლექსიაზე, ასეთი ფორმულირებით გადმოგვცემს ინგლისურად: loveliness cheapened is worthless'. Thus speaks the rose that is only a soulless, inanimate flower („იაფფასიანი სილამაზე უსარგებლოა. ამას ამბობს ვარდი, რომელიც მხოლოდ უსულო ყვავილია“ – თარგმანი ჩვენია).

<sup>19</sup> იხილეთ: <https://dictionary.ge/ka/word/lovely/> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>20</sup> იხილეთ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=46> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

ლინ კოფინის თარგმანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დოდონა კიზირიას პწკარედის საფუძველზე არის შესრულებული. ამიტომ, მართებული იქნება, თუ ლინ კოფინის თარგმანში აღნიშნული აფორიზმის გაანალიზებამდე დოდონა კიზირიას პწკარედულ თარგმანს განვიხილავთ.

დოდონა კიზირია ამ აფორიზმის თარგმნისას იმეორებს მარჯვორი უორდროპის თარგმანის ტექსტს, თუმცა, სიცხადისთვის, ფრჩხილებში უთითებს აფორიზმის მნიშვნელობას (“The last phrase could be also understood as whatever is rare is better”. *ბოლო ფრაზა შეიძლება ასევე გავიგოთ, რაც იშვიათია, უკეთესია* - თარგმანი ჩვენია). ამ განმარტების მიზანია, რომ მთარგმნელისათვის გასაგები გახადოს აფორიზმის მნიშვნელობა და ეკვივალენტის პოვნა გაუადვილოს.

ლინ კოფინის მიერ თარგმნილი ამ აფორიზმის პირველი ნაწილი მარჯვორი უორდროპის თარგმანის იდენტურია (ისევე, როგორც დ. კიზირიას პწკარედში), მეორე ნაწილში კი ჩირის ეკვივალენტად გვაქვს შემდეგი ფრაზა – *worth a fig*. ინგლისურ ენაში დასტურდება იდიომატური გამოთქმა **worth a fig**, რაც ნიშნავს *უმნიშვნელოს, შეუმჩნეველს*.<sup>21</sup> ამ შემთხვევაში მთარგმნელს კარგი სტრატეგია აქვს შერჩეული – ის, ერთი მხრივ, ინარჩუნებს აფორიზმის დედნისეულ მნიშვნელობას, მეორე მხრივ, თარგმანის ენაში შენარჩუნებულია ორიგინალის აზრი და ინგლისური ენისთვისაც ბუნებრივი იდიომატური ეკვივალენტია შერჩეული. ლინ კოფინის მიერ ამ კონკრეტული აფორიზმის თარგმანში იგრძნობა რუსთაველიც და ინგლისური ენის მხატვრული შესაძლებლობაც.

ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების ფონდების მონაცემთა ბაზაში<sup>22</sup> საგანგებოდაა ყურადღება შეჩერებული ჩვენ მიერ დასახელებულ აფორიზმსა და მის ინგლისურენოვან შესატყვისზე: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“ – *What we obtain too cheaply we esteem too lightly; it is dearness only which gives everything its value*.<sup>23</sup> დასახელებული ინგლისურენოვანი ფრაზა ეკუთვნის წარმოშობით ინგლისელ და ამერიკაში მცხოვრებ პოლიტიკურ აქტივისტს, ფილოსოფოსს,

<sup>21</sup> იხილეთ: <https://idioms.thefreedictionary.com/not+worth+a+fig> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>22</sup> იხილეთ: <https://idioms.tsu.ge/> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>23</sup> იხილეთ: <https://idioms.tsu.ge/?p=17875> (ბოლო ნახვა 10.05.2024).



პოლიტიკის თეორეტიკოსსა და რევოლუციონერ თომას პეინსს (1737-1809). ეს ფრაზა დასტურდება მის წიგნში „ამერიკის კრიზისი“.<sup>24</sup> რა ინფორმაციული სტრუქტურა გვაქვს პეინსის ფრაზაში? ფრაზის მნიშვნელობა არის შემდეგი: იმას, რასაც ძალიან მარტივად ვიღებთ, ჩვენ ძალიან ზედაპირულად ვაფასებთ.<sup>25</sup> პეინსის დასახელებული ფრაზის თარგმანი შეიძლება შემდეგ იყოს: როდესაც რაღაცას მარტივად ვიღებთ, არ ვფიქრობთ, რომ ის ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ მაშინ, როცა რაღაც ძნელი მოსაპოვებელია ან ძვირია, ჩვენ ვხვდებით, თუ რამდენად ღირებულია ის სინამდვილეში (პეინსის ფრაზის ჩვენეული ინტერპრეტაცია ქართულად). შინაარსობრივი თვალსაზრისით, პეინსის ეს ფრაზა მიემართება რუსთველისეულ აფორიზმს. განსხვავება ისაა, რომ რუსთაველთან მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გვაქვს, რაც მთარგმნელებმაც სწორად გაიმეორეს. პეინსის ეს ფრაზა/აფორიზმი, სავარაუდოდ, სამივე მთარგმნელისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ გამოიყენა საკუთარ თარგმანში, შესაძლოა იმიტომაც, რომ რუსთველისეული ინფორმაციული სტრუქტურა არ დარღვეულიყო. მათ უპირატესობა რუსთაველის ორიგინალური იდეების თანმიმდევრულობასა და მთლიანობას მიანიჭეს. ინფორმაციული სტრუქტურის შენარჩუნებით, მთარგმნელებმა მიზნად დაისახეს მკითხველისთვის რუსთაველის ფილოსოფიური და ენობრივი ნიუანსების წარმოჩენა.

დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში **ჩირის** ასეთი განმარტებაა მოცემული: *ჩირი* - *p.noun* dried fruit: ჩირად არ მიღირს It's worthless to me; ფშავური cube of meat (for barbecuing).<sup>26</sup> ცალკეა გამოყოფილი იდიომატური გამოთქმა **ჩირად არ მიღირს**, რომლის ეკვივალენტადაც შემოთავაზებულია – It's worthless to me.

ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების მონაცემთა ბაზაში ცალკეა გამოყოფილი იდიომატური გამოთქმა „ჩირად არ ღირს“ (It's not worth it). ამ იდიომატური გამოთქმის ინგლისური ეკვივალენტები შემდეგია:

<sup>24</sup> “Thomas Paine. The American Crisis. Philadelphia, Styner and Cist, 1776–77”. Indiana University. Archived from the original on October 20, 2019. Retrieved November 15, 2007. <https://www.123helpme.com/essay/What-We-Obtain-Too-Cheap-We-Esteem-PCLC9HL4TYM> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>25</sup> თარგმანი ჩვენია.

<sup>26</sup> იხილეთ: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=46&t=304210> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

ჩირად არ ღირს (უვარგისია, ფასი არა აქვს) - Be of no value; be worthless; Not to be worth a damn (thing); Not be worth a pin; Not to be worth a farthing; Not to be worth a bean; Not to be worth a doit; Not to be worth a tinker's damn; Not to be worth a plugged nickel; Not to be worth a red cent.<sup>27</sup>

დამოწმებული ინგლისურენოვანი იდიომების სიტყვასიტყვითი თარგმანი ქართულ ენაზე შემდეგია:<sup>28</sup>

**Be of no value** - ღირებულება არ აქვს;

**be worthless** - უვარგისია;

**Not to be worth a damn (thing)** – არაფრად ვარგა, კაპიკია მისი ფასი;

**Not be worth a pin** - ქინძისთავის (ჩაღის) ფასი აქვს;

**Not to be worth a farthing**<sup>29</sup> - გროშია (კაპიკია) მისი ფასი;

**Not to be worth a bean**<sup>30</sup> - გახვრეტილ გროშიადაც (ლობოს მარცვლად) არ ღირს;

**Not to be worth a do it** - გასაკეთებლადაც არ ღირს;

**Not to be worth a tinker's damn**<sup>31</sup> - უსარგებლოდ მოხეტიალე ხელოსანზე უარესი;

**Not to be worth a plugged nickel** - ღირებულების არმქონე „ძვირფასი“ მეტალი;

**Not to be worth a red cent** - კაპიკია მისი ფასი.

მთარგმნელთათვის იდიომების ერთი ენიდან მეორეზე გადატანა დიდი გამოწვევაა, რადგან მხატვრული ერთეულების თარგმნისას განმსაზღვრელია ორიგინალში იდიომატური მნიშვნელობის ზუსტი გაგება და თარგმანის ენაზე მისი ზუსტი ან სათანადო ეკვივალენტის პოვნა. მთავარი სირთულე კი ისაა, რომ იდიომები, ხშირ შემთხვევაში, კულტურული ნიუანსების მატარებელი არიან და, ამასთან, კონტექსტში სპეციფიკურ მნიშვნელობას იძენენ. ამიტომაც შესაძლოა, რომ დედანში არსებულ იდიომატურ გამოთქმას არ ჰქონდეს ზუსტი ეკვივალენტი თარგმანის ენაში.

ჯონ რაიტი წიგნში „იდიომების სისტემატიზატორი“ (“Idioms Organizer”) სვამს კითხვას, შესაძლებელია თუ არა იდიომების თარგმნა? ავტორს ამ შეკითხვაზე ცალსახად უარყოფითი პასუხი აქვს. იდიომების თარგმნისას ენობრივად რთულ

<sup>27</sup> იხილეთ <https://idioms.tsu.ge/?p=5535> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>28</sup> თარგმანი ჩვენია.

<sup>29</sup> იხილეთ: <https://dictionary.ge/ka/word/farthing/> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>30</sup> იხილეთ: <https://dictionary.ge/ka/word/bean+I/> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

<sup>31</sup> იხილეთ: <https://dictionary.ge/ka/word/tinker+I/> (ბოლო ნახვა 10.05.2024).

საკითხს ვეხებით, რომელშიც ენები ავლენენ მნიშვნელოვან განსხვავებებს. მიუხედავად იმისა, რომ არის შემთხვევები, როდესაც იდიომები ითარგმნება ერთი ენიდან მეორეზე და ზუსტი ეკვივალენტების პოვნა შესაძლებელია, უფრო ხშირად, ეს ამოცანა დაუძლეველი რჩება და იდიომატური გამოთქმების ადეკვატური თარგმანი ვერ ხერხდება. რაიტი სიტყვასიტყვითი თარგმანის წინააღმდეგია: „მნიშვნელოვანია, რომ ძალიან ფრთხილად იყოთ, თუკი იდიომებს თარგმნით. არასოდეს თარგმნოთ იდიომატური გამოთქმები სიტყვასიტყვით. უნდა ითარგმნოს მთელი ფრაზა. ზოგჯერ შესაძლებელია ითარგმნოს დედნისეული იდიომი იდიომად თარგმანის ენაზე. თუმცა, შეიძლება თარგმანის ენაში არ არსებობდეს შესაბამისი ეკვივალენტი და უბრალოდ მოგიწიოთ მნიშვნელობის ახსნა“ (თარგმანი ჩვენი)<sup>32</sup> (Wright 1999:10).

თუ შევაფასებთ ამ აფორიზმის თარგმანის ხარისხს, ჩვენი აზრით, ვენერა ურუშაძესა და ლინ კოფინს მართებული სტრატეგია აქვთ შერჩეული, რადგან ორივე მთარგმნელის შემთხვევაში შენარჩუნებულია აფორიზმის მთავარი იდეა, და, ამასთან, ლინ კოფინს მყარი სიტყვათშეთანხმებისა და ინგლისური ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი იდიომატური გამოთქმით აქვს შეცვლილი „ჩირად გახდომა“. რუსთველისეული აფორიზმის („ოდეს ტურფა გაიფედეს, არღარა ღირს არცა ჩირად“) მეორე ნაწილი, რომელიც იდიომატურ გამონათქვამს წარმოადგენს, მარჯორი უორდროპის თარგმანში, ვფიქრობთ, ბუნდოვანი იქნება ინგლისურენოვანი მკითხველისათვის, რადგან **dried fruit**-ის ამ კონტექსტში გამოყენება თარგმანის ენისათვის არაბუნებრივია. რაც შეეხება დოდონა კიზირიას პწკარედულ თარგმანს, ფრჩხილებში მითითებულმა განმარტებითი სახის ინფორმაციამ და მის მიერ აფორიზმის მართებულმა შეფასებამ ლინ კოფინს სწორი არჩევანის გაკეთების საშუალება მისცა.

სტატიაში განხილული იყო აფორიზმის ეკვივალენტობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ სამი ინგლისური თარგმანის ერთი აფორიზმის მაგალითზე. მთარგმნელთა მიერ აფორიზმის თარგმნის სტრატეგიების განხილვისას გამოიკვეთა, რომ:

<sup>32</sup> შდრ.: “It is important that you are very careful if you have to translate idioms. Never translate an idiom word for word. You must translate the whole expression. Sometimes you will be able to translate the English idiom into an idiom in your own language. However, there may be no idiom and you may just have to explain the meaning”.

მარჯორი უორდროპი აფორიზმს სიტყვასიტყვით თარგმნის, რის შედეგადაც იკარგება აფორიზმისათვის დამახასიათებელი უმთავრესი კრიტერიუმი – ბრძნული აზრი, რაც გადმოსცემს აფორიზმის ცენტრალურ იდეას. გაანალიზებულ მაგალითში ორიგინალ ენაში არსებული აფორიზმის შინაარსი აშკარად არ ასოცირდება თარგმანის ენაში გადატანილ შინაარსთან.

ვენერა ურუშაძე იდიომატური გამოთქმის ინგლისურ ენაზე მხატვრულად თარგმნით ეფექტურ სტრატეგიას იყენებს. „ვარდი“, როგორც განმსაზღვრელი მეტაფორა, მთარგმნელს საშუალებას აძლევს შეცვალოს იდიომატური გამოთქმა („არღარა ღირს არცა ჩირად“) უსულო ყვავილის კონცეპტით და შექმნას ფუნქციური ეკვივალენტი.

დოდონა კიზირიას განმარტება ლინ კოფინს საშუალებას აძლევს გამოიყენოს შესაბამისი სტრატეგია, თარგმნოს ქართული იდიომატური გამოთქმა ეკვივალენტური იდიომატური გამოთქმით ინგლისურ ენაზე. ამ მიდგომით შენარჩუნებულია იდიომის შინაარსი და, ამასთან, ასახულია ინგლისური ენის ენობრივი და ექსპრესიული მახასიათებლები.

### 3. დასკვნა

„ვეფხისტყაოსნის“ აქ განხილული აფორიზმის სტრუქტურულმა და ფუნქციურმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ მხატვრული ერთეულების თარგმნა არის ლინგვისტური და კულტურული ინფორმაციის გადაცემის რთული პროცესი. საკითხის ამ კუთხით კვლევა გადამწყვეტია ერთი ენიდან მეორეზე მხატვრული ერთეულების თარგმანის მრავალმხრივი ბუნების გასაგებად. სხვადასხვა მთარგმნელის მიერ გამოყენებული მრავალფეროვანი მთარგმნელობითი სტრატეგიების სისტემური შესწავლა საშუალებას იძლევა, რომ შევიმუშაოთ, ერთი მხრივ, მხატვრული ერთეულების შეფასების კრიტერიუმი თარგმანში და, მეორე მხრივ, დავადგინოთ აფორიზმების ეკვივალენტობის ხარისხი თარგმანში და სწორი კვალიფიკაცია მივცეთ მთარგმნელთა მიერ შერჩეულ სტრატეგიებს.

ჩვენი ნაშრომი სცილდება უბრალო ლინგვისტურ კვლევას და მოიცავს კულტურული ნიუანსების კვლევასაც. მთარგმნელებისათვის მხატვრული ერთეულების გადატანისას მთავარია არა მხოლოდ იდეური შინაარსის თარგმნა, არამედ მათში

ჩადებული კულტურული რეზონანსების ასახვაც. მთარგმნელი, ერთი მხრივ, დედნისა და თარგმანის ენის ერთგული უნდა დარჩეს და, მეორე მხრივ, კულტურული ნიუანსებიც უნდა გაითვალისწინოს.

მაგალითების შესწავლისას გამოიკვეთა ენისა და კულტურის რთული ურთიერთკავშირი. ნათელია, რომ თითოეული მთარგმნელი ირჩევს თარგმანის ინდივიდუალურ სტრატეგიას, რაც ლინგვისტურ და კულტურულ კონტექსტში აისახება. მაშასადამე, აფორიზმების თარგმნა ხდება დინამიკური პროცესი, რომელიც სცილდება მხოლოდ ეკვივალენტების პოვნის ძიებას და გულისხმობს ენობრივი და კულტურული პროცესების გადმოცემას თარგმანის ენის კულტურულ გარემოში.

აფორიზმისა და იდიომატური გამოთქმების თარგმანი არ არის მექანიკური ამოცანა, არამედ ესაა გააზრებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მთარგმნელები, როგორც კულტურული შუამავლები, ასრულებენ გადამწყვეტ როლს ამ ლაკონიური, კულტურული ინფორმაციით დატვირთული გამონათქვამების იდეის შენარჩუნებაში. განხილული მაგალითი გვიჩვენებს მთარგმნელობით სტრატეგიას, ენისა და კულტურის სირთულეებს, ასახავს იმ ნიუანსურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულ იქნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ თარგმნილი აფორიზმი ავთენტურად უდერდეს თარგმანის ენაზე.

არსებითად, ეს შემთხვევები ამდიდრებს ჩვენს ცოდნას აფორიზმების თარგმნის შესახებ. ხაზს უსვამს მთარგმნელთა მიერ არა მხოლოდ დედნისა და თარგმანის ენების სისტემურად ცოდნის აუცილებლობას, კულტურული ნიუანსების გათვალისწინებას, არამედ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მთარგმნელის მიერ ტექსტის ფუნდამენტური შესწავლა და მთარგმნელობითი სტრატეგიების შერჩევა განმსაზღვრელია.

### **შემოკლებებია სია**

D.K. - დოდონა კიზირია

L.C. - ლინ კოფინი

M.W. - მარჯორი უორდროპი

V.U. - ვენერა ურუშაძე

## გამოყენებული ლიტერატურა

1. **გამსახურდია 1984:** ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“.
2. **ერთელიშვილი 1958:** ფ. ერთელიშვილი, აფორიზმის ცნების საკითხისათვის. მნათობი, N. 5, გვ. 162-168.
3. **თანდაშვილი, ყამარაული 2021:** მ. თანდაშვილი, მ. ყამარაული, შესავალი დიგიტალურ ქართველოლოგიაში, თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“.
4. **თანდაშვილი 2022:** მ. თანდაშვილი, დიგიტალური რუსთველოლოგია, გამოწვევები, პერსპექტივები, ამოცანები. თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“.
5. **მუავანაძე 2023:** მ. მუავანაძე, „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული. ბათუმი: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით.
6. **რუსთაველი 1957:** შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, რედ. ა. შანიძე, კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე, თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“.
7. **ჩაჩანიძე 1980:** ვ. ჩაჩანიძე, ვეფხისტყაოსანი მსოფლიოს ხალხთა ენებზე. თბილისი, გამომცემლობა „ხელოვნება“.
8. **ჩხეიძე, თაქთაქიშვილი 2016:** მ. ჩხეიძე, ლ. თაქთაქიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2015. თბილისი, გამომცემლობა „სეზანი“.
9. **ჯონსონი 1994:** ს. ჯონსონი, „აფორიზმის ხელოვნება“, ჟურნალი არილი, 1994, 10 აგვისტო (მთარგმნელი ბ. ქურხული), გვ. 10-12.
10. **ხინთიბიძე 2006:** ე. ხინთიბიძე, ვეფხისტყაოსანი შექსპირისა და მისი თანამედროვეების ინგლისურ დრამატურგიაში. თბილისი, გამომცემლობა „საჩინო“.
11. **Бальмонт 1933:** Руставели Ш. Носящий барсову шкуру: Грузинская поэма XII века. Перевод К. Д. Бальмонта. Париж, издание Д. Хеладзе.
12. **Băiaș 2015:** C. Băiaș, The Aphorism: Function and Discursive Strategy. (P. D. Uzunboylu, Ed.) The Proceedings of 6th World Conference on educational Sciences, 191, P. 2267-2271. (2015, June 2) doi:<https://doi.org/10.1016/j.sbspro.2015.04.229>.
13. **Douglas, Strumpf 1989:** A. Douglas, M. Strumpf, Webster's New World, Best Book of Aphorisms. New York: Arco.
14. **Geary 2005:** J. Geary, The World in a Phrase: A Brief History of The Aphorism, New York: Bloomsbury.

15. **Hasselgård 2020:** H. Hasselgård, Corpus-based contrastive studies: Beginnings., Oslo, Norway. doi:<https://doi.org/10.1075/lic.00015>.
16. **Paine 1776-77:** T. Paine, The American Crisis. Philadelphia, Styner and Cist: Indiana University. Archived from the original on October 20, 2019. Retrieved November 15, 2007.
17. **Wright 1999:** J. Wright, Idioms organizer Organised by metaphor, topic and key word. Boston: Heinle ELT.

#### „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები

1. **Rustaveli 1912:** Shota Rustaveli, The Man in the Panther's Skin; Translated by Marjory Scott Wardrop. London: The Royal Asiatic Society.
2. **Rustaveli 1979:** Shota Rustaveli, The Knight in the Panther's Skin, Translated by Venera Urushadze. Tbilisi: Sabchota Sakartvelo.
3. **Rustaveli 2015:** Shota Rustaveli, The Knight in the Panther Skin, Translated by Lyn Coffin. Tbilisi: POEZIA Press.

#### ელექტრონული რესურსები

1. დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი <https://dictionary.ge/en/>
2. დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/>
3. „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია-ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge>
4. ლექსიკონი ქართული <http://www.nplg.gov.ge>
5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი <https://www.ice.ge/>
6. ქართული ენის იდიომებისა და ანდაზების მონაცემთა ბაზა <https://idioms.tsu.ge/>
7. ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge>
8. Armenian-English dictionary - <http://www.nayiri.com/>
9. Collins dictionaries <https://www.collinsdictionary.com/>
10. Merriam-Webster Online Dictionary and Merriam-Webster Online Thesaurus <https://www.merriam-webster.com/>